

ტესტი დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთათვის ქართული ენა დალიტერატურა

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტი ორი ნაწილისგან შედგება - პროფესიული ცოდნა და აკადემიური უნარები - და 26 დავალებას შეიცავს.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 65.

ტესტში წარმოდგენილი დავალებები, ფორმატის თვალსაზრისით სხვადასხვაგვარია. ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული დავალების ინსტრუქცია, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ დავალების შესრულებისას, და შემდეგ აირჩიეთ ან დაწერეთ პასუხი.

გაითვალისწინეთ:

- თუ სწორ პასუხთან ერთად არასწორ პასუხსაც მიუთითებთ, ქულას ვერ მოიპოვებთ.
- თუ პასუხის გაცემისას დაარღვევთ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს, დაგაკლდებათ ქულა.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

საგნობრივი ცოდნა

1. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ წინადადებას მიესადაგება აღწერა: შედგენილობით მარტივი, სრული, გაუვრცობელი?

(ა) მთებზე ჩამოთოვა.

(ბ) მზემ გააღვიძა ბუნება.

(გ) ხეები ნაზად ირწეოდნენ.

(დ) კოკისპირული წვიმა წამოვიდა.

2. ჩამოთვლილთაგან რომელი გამოდგება საწყისი – მიმღეობის წყვილის მაგალითად?

(ა) თავი – მოთავე

(ბ) დაბარვა – დაბარული

(გ) ფული – საფულე

(დ) ამარცხებს – დამარცხებული

3. ზმნაში აუღზრდია გვხვდება ალ ზმნისწინის არამართებული ჩანაწერი.

წარმოდგენილი ვარიანტებიდან რომელშია მითითებული დარღვევის მიზეზი?

(ა) ზმნისწინი გათიშულია პირის ნიშნით.

(ბ) ზმნისწინი გათიშულია მწკრივის ნიშნით.

(გ) ზმნისწინი გათიშულია ქცევის ნიშნით.

(დ) ზმნისწინი გათიშულია თემის ნიშნით.

4. სახელმძღვანელოში მოცემულია ზმნა ვ - ა - თბ - ობ, რომელშიც გამოყოფილია სხვადასხვა გრამატიკული კატეგორიის შესაბამისი ნიშანი. ქვემოთ მოცემულთაგან რომელი მსჯელობაა მართებული?

- (ა) ზმნაში გამოყოფილია პირისა და რიცხვის ნიშნები, სავრცობი და ძირი.
- (ბ) ზმნაში გამოყოფილია პირისა და კონტაქტის ნიშნები, ძირი და თემის ნიშანი.
- (გ) ზმნაში გამოყოფილია პირისა და მწკრივის ნიშნები, სავრცობი და ძირი.
- (დ) ზმნაში გამოყოფილია პირისა და ქცევის ნიშნები, ძირი და თემის ნიშანი.

5. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ წინადადებაშია დაშვებული პუნქტუაციური შეცდომა?

(ა) „ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ, შენ ჩვენო ნიჭო, სრბოლავ და ფრენავ“.

(ბ) ჩემთვის რომ დაეჯერებინა, ნამდვილად აიცილებდა საფრთხეს.

(გ) „შენ, ჰე, ღვინოვ, ყოვლად ძლიერო, ლხინით, შექცევით გულნი აღგვიგზნე“.

(დ) ცხადია, დამოკიდებულება, რომელსაც მისგან ვგრძნობდი, უარესს მოასწავებდა.

6. მოცემულია დებულება: „შესაძლებელია, ერთმა და იმავე არსებითმა სახელმა კონკრეტული სახელიც აღნიშნოს და აბსტრაქტულიც“.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი წყვილი გამოგვადგება ამ დებულების საილუსტრაციოდ?

- (ა) ურმის თვალი ჭრიალებს. კატამ თვალი გააყოლა.
- (ბ) დრო უცბად გავიდა. დრო ჩინებულად გაატარა.
- (გ) ახალგაზრდობა ბაღში შეიკრიბა. ახალგაზრდობა ბედნიერი ხანაა.
- (დ) გზაზე ერთი კაცი მიდიოდა. კაცი არ ჩანს ამის გამკეთებელი.

7. მოცემულია წინადადება: *მოხუცს, როგორც ექიმებმა აუწყეს, საშინლად იშვიათი დაავადება სჭირდა.*

ჩამოთვლილთაგან რომლის ნიმუშია ეს წინადადება?

(ა) კალკის

(ბ) ატროფიის

(გ) პარონიმის

(დ) ვულგარიზმის

8. რთულ ქვეწყობილ წინადადებაში დამოკიდებული წინადადების პოზიცია მთავარი წინადადების მიმართ სამი ტიპისაა:

1. დამოკიდებული წინადადება უსწრებს მთავარს.
2. დამოკიდებული წინადადება მოსდევს მთავარს.
3. დამოკიდებული წინადადება მოქცეულია მთავარი წინადადების შუაში.

დაადგინეთ შესაბამისობა დამოკიდებული წინადადების წარმოდგენილ ტიპებსა და ქვემოთ მოცემულ წინადადებებს შორის. პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში რთული ქვეწყობილი წინადადების აღმნიშვნელ ასოს მიუწერეთ შესაბამისი ტიპის რიგითი ნომერი (გაითვალისწინეთ, შესაძლებელია პასუხის გამეორება).

- (ა) როცა მოსწავლემ მაგალითის ამოხსნა დაიწყო, ზარმა გაკვეთილის დასრულება გვამცნო.
- (ბ) ისეთი მზიანი დღე იყო, სიცხისგან კაცს სული შეეხუთებოდა.
- (გ) დედა სახლში შემოვიდა თუ არა, მაშინვე საძინებლისკენ გაეშურა.
- (დ) ადგილი, სადაც მონადირეები ჩასაფრებულიყვნენ, შორიდანვე ხელის გულივით მოჩანდა.

(მაქსიმალური ქულა 1)

9. როგორც ცნობილია, ზმნისწინის დართვით ზმნამ შეიძლება, შეიცვალოს მნიშვნელობა.

პასუხების ფურცელზე გამოყოფილ ველში ჩაწერეთ ორი ზმნა, რომლებიც გამოგვადგება ზმნისწინის მნიშვნელობის შემცვლელი ფუნქციის საილუსტრაციოდ.

(მაქსიმალური ქულა 1)

10. ქვემოთ მოცემულია ინტერნეტში განთავსებული სტატიებიდან ამოკრებილი წინადადებები, რომლებშიც დაშვებულია რამდენიმე მორფოლოგიური თუ სინტაქსური შეცდომა. ამოიწერეთ შეცდომით დაწერილი სიტყვები, მიუთითეთ სწორი ფორმა და პასუხი დაასაბუთეთ. თითოეული შეცდომის გასწორება და შესაბამისი დასაბუთება ფასდება 2 ქულით.

გაითვალისწინეთ, რომ სწორად დაწერილი თითოეული სიტყვის მცდარი ფორმით შეცვლის შემთხვევაში დაგაკლდებათ 1 ქულა.

1. „სამართალდამცავს, რომელსაც შეუძლია უგულებელყოს ზემდგომის ბრძანება, სათანადოდ უნდა დაისაჯოს.“
2. „მართალია, სახელმწიფო ზრუნავს დევნილთა დასახლებაზე, მაგრამ ჯერ კიდევ ვხვდებით კეთილმოუწყობელ საცხოვრებლებს.“
3. „მინისტრის მსჯელობას დამაჯერებლობა შეჰმატა მოყვანილმა მაგალითმა.“
4. „ჩვენ მოვახერხეთ და ვუზრუნველყავით სახელმწიფოში სტაბილური ფინანსური გარემო.“
5. „იმ პოლიტიკოსებს, რომლებსაც არ შეუძლიათ თავიანთი შეცდომების აღიარება, საზოგადოება განუდგება.“
6. „განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში დამსახურებულ პედაგოგთა დაჯილდოების ცერემონია გაიმართა.“

11. შეცვალეთ წინადადებაში ხაზგასმული ფრაზის 1. სახელითი ნაწილი და 2. ზმნური ნაწილი ისე, რომ მიიღოთ ფრაზეოლოგიზმი.

1. მეგობარმა ოთახი გაანიავა.

2. მწყემსმა სალამური გამოთავა.

(მაქსიმალური ქულა 2)

12. ანა კალანდაძის ალუზიური ხასიათის ლექსში ვკითხულობთ :

„ფეხქვეშ გაცვითეთ საფლავის ლოდი
ყურძნის მტევნებით...

– ასეთი ცოდვა რა გაქვს, მეფეო,
მიუტევები?

... თუ ცოდვილი ხარ, მაშინ, მეფეო,
რაღა ქნან ცოდვილთ?!“

დაასახელეთ, რომელი ჰიმნოგრაფიული ტექსტი გახდა ავტორისთვის შთაგონების წყარო ამ ლექსის შექმნისას?

(მაქსიმალური ქულა 1)

13. ჩამოთვლილთაგან რომელი ავტორები გახდნენ საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლნი?

I. ლადო ასათიანი

II. ტიციან ტაბიძე

III. მირზა გელოვანი

IV. მიხეილ ჯავახიშვილი

V. ლევან გოთუა

(ა) I, II, IV;

(ბ) II, III, IV ;

(გ) II, IV, V;

(დ) I, III, V.

14. დაადგინეთ შესაბამისობა აფორიზმებსა/გამონათქვამებსა და მათს ავტორებს შორის. პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში აფორიზმის აღმნიშვნელ ასოს მიუწერეთ ავტორის შესაბამისი ნომერი (გაითვალისწინეთ, რომ შესაძლებელია პასუხის გამეორება).

- (ა) „მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებას.“
- (ბ) „თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები.“
- (გ) „ათას ცოცხალსა ბევრჯელა ასჯერ სჯობს ერთი მკვდარია.“
- (დ) „ჭკუვა უხმარ არს ბრიყვთათვის, ჭკვა ცოდნით მოიხმარების.“
- (ე) „ლამაზად შვილის აღმზრდელი დედა მიცვნია ღმერთადა.“
- (ვ) „ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო, - აბა, მე დღეს ვის რა ვარგე.“

- 1. დავით გურამიშვილი
- 2. გრიგოლ ორბელიანი
- 3. ვაჟა-ფშაველა
- 4. შოთა რუსთაველი
- 5. ილია ჭავჭავაძე

(მაქსიმალური ქულა 1)

15. დაადგინეთ შესაბამისობა მოცემულ ლიტერატურულ ნაწარმოებებსა და მათს ავტორებს შორის. პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში ნაწარმოების აღმნიშვნელ ასოს მიუწერეთ ავტორის შესაბამისი ნომერი (გაითვალისწინეთ, რომ შესაძლებელია პასუხის გამეორება).

(ა) „ზღვის მგელი“

(ბ) „ჩიპოლინოს თავგადასავალი“

(გ) „თეთრი ეშვი“

(დ) „უკანასკნელი მოჰიკანი“

(ე) „ბურატინოს თავგადასავალი“

1. ჯანი როდარი

2. ჯეიმზ ფენიმორ კუპერი

3. ჯეკ ლონდონი

4. ალექსეი ტოლსტოი

(მაქსიმალური ქულა 1)

16. ჰერმენევტიკა არის ტექსტის გაგებისა და ინტერპრეტაციის ტრადიციული და უნივერსალური თეორია. ანტიკური ხანის ბერძენი ფილოლოგები და ფილოსოფოსები, განსაკუთრებით ნეოპლატონიკოსები, ჰერმენევტიკას იყენებდნენ ძველი პოეტების, უპირველეს ყოვლისა, ჰომეროსის ნაწარმოებების ინტერპრეტირებისთვის, სიმბოლოების ასახსნელად. შუა საუკუნეებში მას ბიბლიის განმარტების მიზნითაც მიმართავდნენ.

ჰერმესი, ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, არის ზევსის გამჭრიახი და მოხერხებული ძე, რომელიც ღმერთების შიკრიკია, მათ ნებას ამცნობს ადამიანებს და ყველა საქმეს კეთილად აგვირგვინებს.

იმსჯელეთ, რატომ გამოიყენეს ტექსტის გაგებისა და ინტერპრეტაციის თეორიის აღმნიშვნელი ტერმინის შექმნისას ჰერმესის სახელი, რა მიმართებაა მათ შორის.

(მაქსიმალური ქულა 2)

17. წაიკითხეთ მითები: „ხოგაის მინდი“, „თეთრი გველი“ და „ფაეტონი“. შეასრულეთ 17.1 – 17.9 დავალებები.

ხოგაის მინდი

ხევსურთა რწმენით, „მინდი რო დაბადებულ, ცაზე სამ მზე მდგარ“ – ასე გამოხატავს მითოსური გმირის, ხოგაის მინდის, დაბადების უჩვეულობას ხალხური ამბის ხევსური მთხრობელი. მითის თანახმად, მინდია ქაჯებმა დაატყვევეს. თვითმკვლელობის მიზნით მან გველის ხორცი ჭამა, მაგრამ მოწამვლის ნაცვლად ჯადოსნური ძალა შეიძინა – მას შეეძლო ამოეცნო ბუნების საიდუმლო: მინდიას ესმოდა მცენარეთა, ფრინველთა, ცხოველთა ენა და ამ უნარს ადამიანების სასიკეთოდ იყენებდა, კურნავდა მათ, რჩევებს აძლევდა.

მინდია ბალახს ველარ თიბავდა, ხეს ვერ ჭრიდა. როგორც კი ცელს ან ნამგალს მოუღერებდა, ეტყოდნენ, ნუ მოგვჭრი, მინდიაო! თავთავი რომ დამწიფდებოდა, ეძახდა, დროზე დამაბინავე, მინდიაო! ბალახები და ყვავილები ეუბნებოდნენ, მე ამისი წამალი ვარ, მე – ამისიო... დაჭრილ მეზრძოლებს არჩენდა, სიკვდილის პირას მისულ ადამიანებს კი სიცოცხლეს უბრუნებდა.

ეს მითოსური გმირი გახდა ვაჟა-ფშაველას პოემა „გველისმჭამელის“ მთავარი პერსონაჟის, მინდიას, პირველსახე.

ხოგაის მინდის სიკვდილზე ასეთი ხალხური ლექსი შეიქმნა:

ხოგაის მინდი კვდებოდა,
მზე წითლდებოდა, ცხრებოდა,
ცა ჭებდა, მიწა გრგვინავდა,
სული გვიანა ჰხდებოდა,
ჩამოდიოდა მასკვლავი,
მოვარეც უკულმა დგებოდა,
ქორ-შავარდენი, არწივი
სუ მხრებით იხოშებოდა*.
მალღის ჭიუხის ნადირი
სატირლად ემზადებოდა,
ცხენი იმისი ტიალი
ლურჯა ტოტზედა დგებოდა...

*იხოშებოდა - გლოვის ნიშნად გულისპირს (აქ - ბუმბულს) იგლეჯდა.

სხვა გმირებისაგან ხოგაის მინდის „ნაწილიანობა“ გამოარჩევს. „ნაწილიანობას“ განმარტავენ, როგორც ღვთის წილის ფლობას, ღვთიურ საწყისთან წილნაყარობას, მოკვდავის არსებაში ღვთაებრივის არსებობას. როგორც ვახტანგ კოტეტიშვილი წერდა: „ხოგაის მინდი რაღაც გაღმერთების გზაზე შემდგარი გმირის სახე არის, მითოლოგიური ნისლით დამძიმებული და განდიდებულიც. ეს ლექსიც, ამ თვალსაზრისით, ჰიპერბოლა კი აღარ გამოდის, არამედ ამ ზედმეტად გმირული თუ ნახევრად მითოლოგიური მსოფლმხედველობის საუკეთესო ნაშთი. საზოგადოდ, გმირები ძველად ასე წარმოედგინათ: გარდამავალი საფეხური ღვთიდან ადამიანამდე ან ადამიანიდან ღვთაებამდე. ასეთი გმირის დაბადება და სიკვდილი არაჩვეულებრივია.“

თეთრი გველი (გერმანული მითის მოკლე შინაარსი)

დიდი ხნის წინ ერთი ბრძენი მეფე ცხოვრობდა. მას უცნაური წესი ჰქონია - სადილის შემდეგ ერთგულ ახალგაზრდა მსახურს კიდეც ერთი კერძი უნდა მიერთმია თავდახურული ლანგრით. მეფე მხოლოდ მაშინ ახდიდა თავსახურს, როცა მარტო რჩებოდა. ერთხელაც მსახურმა გადაწყვიტა, გაეგო, რა იყო ლანგარზე. შეიტანა თავის ოთახში, ახადა თავსახური და რას ხედავს, ლანგარზე თეთრი გველის ხორცი დევს. ბიჭმა თავი ვერ შეიკავა, პატარა ნაჭერი მოიჭრა და შეჭამა. იმწამსვე ფანჯრიდან საოცარი ჩურჩული შემოესმა. მიაყურადა. მიხვდა, ბელურები საუბრობდნენ, ველ-მინდვრებსა და ტყეში ნანახ ამბებს უყვებოდნენ ერთმანეთს. მას შემდეგ ბიჭს ესმოდა ფრინველებისა და ცხოველების ენა.

მსახურმა ბიჭმა მეფეს ცხენი სთხოვა და გზას გაუდგა. ტბასთან რომ გაიარა, დაინახა, სამი თევზი ლელქაშში გაჩხერილიყო. ბიჭმა თევზები გაათავისუფლა და ტბაში გაუშვა. თევზებმა მადლობა უთხრეს, ამ სიკეთეს არ დაგივიწყებთო. ბიჭმა გზა განაგრძო, ტყეში შევიდა. უცებ დაინახა, უდედმამოდ დარჩენილი ყვავის ბახალები მიწაზე ფართხალებდნენ და საცოდავად ჩხაოდნენ. კეთილმა ყმაწვილმა, რაც კი საგზალი ჰქონდა, სულ ბახალებს დაუტოვა.

მალე ბიჭი ერთ დიდ ქალაქს მიაღწა. იქაური მეფის ასულს თვალი მოჰკრა თუ არა, მაშინვე შეუყვარდა და მეფეს მისი ხელი სთხოვა. მეფემ ბრძანა, თუ რთულ დავალებას შემისრულებ, ჩემს ასულს ცოლად გაგატანო, ერთი ბეჭედი ზღვაში მოისროლა და ბიჭს მისი ამოღება უბრძანა. დატოვეს ყმაწვილი ზღვის პირას. უცებ ნაპირთან სამი თევზი მოცურდა. ერთ-ერთს პირით ნიჟარა ეჭირა, ნიჟარაში კი ბეჭედი იდო. ბიჭმა მიართვა მეფეს ბეჭედი. მეფის ასულმა განაცხადა, სანამ სიცოცხლის ხიდან ოქროს ვაშლს არ მომიტანს, ცოლად არ გავყვებიო. დაღონებული ბიჭი ჩამოჯდა ხის ძირას. უცებ ოქროს ვაშლი პირდაპირ ხელებში ჩაუგორდა, მუხლებზე კი სამი ყვავი დაასკუპდა. ჩვენ ის ბახალები ვართ, შენ რომ შიმშილით სიკვდილს გადაგვარჩინეო.

გახარებულმა ყმაწვილმა მეფის ასულს ოქროს ვაშლი მიართვა. ქალ-ვაჟმა ვაშლი შუაზე გაიყო. ქალიშვილს შეუყვარდა კეთილი ჭაბუკი, ცოლად გაჰყვა და ცხოვრობდნენ ბედნიერად.

ფაეტონი (ბერძნული მითი)

„მზის ღმერთი ჰელიოსი ყოველდღე ამოზრდებოდა აღმოსავლეთიდან ეტლით, რომელშიც შეზმული იყვნენ ცეცხლისმფრქვეველი ცხენები და სალამოს დასავლეთით ეშვებოდა ოკეანეში. ღამით ჰელიოსი დედამიწას შემოუვლიდა ნავით და დილით კვლავ აღმოსავლეთიდან აღმოზრდებოდა.

ერთხელ ფაეტონმა, ჰელიოსის ძემ, მამამისის ეტლის მართვის წადილით შეპყრობილმა, გაბედა მამის დაუკითხავად ცხენების გაქროლება, მაგრამ სადავეები ვერ დაუჭირა. ცეცხლოვანი ცხენები დაფრთხნენ და დაიწყეს ცაზე ნავარდი. აღმოდებული ფაეტონი კი გადმოვარდა და მდინარე ერიდანოსში ჩავარდა.

ზეციური მოვლენები აირდაირია. ღამემ შუადღის ციდან განდევნა დღე. მზის დისკო დედამიწისკენ დაეშვა და თან ვარსკვლავებიც ჩამოიყოლა. ჰორებმა* ცის კარიბჭენი დაუტევეს და წყვდიადს მისცეს თავი. უსასოქმნილი გეა (დედამიწის განმასახიერებელი ქალღმერთი) ცისკენ ხელეზაპყრობილი ტიროდა. სხვადასხვა მხარეს მიმოფანტული გედები ცრემლს ღვრიდნენ და საამო გალობით განადიდებდნენ ფაეტონს. მდინარე ერიდანოსიც გლოვის სიმღერას მღეროდა, თავისი მორევიდან ზევით იწევდა, რომ მკერდში ჩაეკრა ჰელიოსის ძე.“

*ჰორები - წელიწადის დროთა ცვალებადობის წარმმართველი ღმერთქალები, ბუნების წესრიგის დამცველი ღვთაებანი. ისინი აღებდნენ და ხურავდნენ მზის კარებს.

- 17.1. რომელი ტერმინით შეიძლება ჩავანაცვლოთ სიტყვა „პირველსახე“? (მაქსიმალური ქულა 1)
- 17.2. იმსჯელეთ, რა მიგვანიშნებს ხალხურ ლექსში ხოგაის მინდის „ნაწილიანობაზე“? (მაქსიმალური ქულა 2)
- 17.3. რა საერთო ნიშანი გამოარჩევს ხოგაის მინდის დაბადებასა და სიკვდილს? (მაქსიმალური ქულა 1)
- 17.4. იმსჯელეთ, რატომ არ არის ვახტანგ კოტეტიშვილის აზრით, ლექსი „ხოგაის მინდი“ ჰიპერბოლიზაციის ნიმუში? (მაქსიმალური ქულა 2)
- 17.5. რას ნიშნავს ვახტანგ კოტეტიშვილის ციტატიდან სიტყვები – „მითოლოგიური ნისლით დამძიმებული“? (მაქსიმალური ქულა 2)
- 17.6. მიუთითეთ „თეთრი გველიდან“ ის ეპიზოდი (გველის ხორცის ჭამის ეპიზოდის გარდა), რომელსაც არაერთი ანალოგი მოეპოვება სხვადასხვა ხალხის ზღაპრებსა თუ მითებში. მოკლედ აღწერეთ ერთი ნიმუში (ანალოგიური ეპიზოდი). (მაქსიმალური ქულა 2)

ტექსტებთან დაბრუნება: [ხოგაის მინდი](#) [თეთრი გველი](#) [ფაეტონი](#)

17.7. დაასახელეთ, რომელ მხატვრულ ხერხებს იყენებს ფაეტონის მითის ავტორი წინადადებებში:

I – „ლამემ შუადღის ციდან განდევნა დღე.“

II – „სხვადასხვა მხარეს მიმოფანტული გედები ცრემლს ღვრიდნენ და საამო გალობით განადიდებდნენ ფაეტონს.“

(მაქსიმალური ქულა 2)

17.8. შეადარეთ მითები „თეთრი გველი“(I) და „ფაეტონი“(II) „ხოგაის მინდის“ მითს და დაძებნეთ ორ-ორი პარალელი და თითო განმასხვავებელი ნიშანი.

I პარალელები
 განსხვავება

II პარალელები
 განსხვავება

(მაქსიმალური ქულა 2)

17.9. მსგავსება აშკარაა, ერთი მხრივ, ხოგაის მინდისა და თეთრი გველის, მეორე მხრივ კი, ხოგაის მინდისა და ფაეტონის მითების ეპიზოდებს შორის. დაასახელეთ და განმარტეთ ერთმანეთისგან განსხვავებული ორი მიზეზი, რომლებმაც შეიძლება განაპირობოს მსგავსი პასაჟების არსებობა სხვადასხვა ხალხისა და სხვადასხვა ეპოქის მითებში.

(მაქსიმალური ქულა 2)

ტექსტებთან დაბრუნება: [ხოგაის მინდი](#) [თეთრი გველი](#) [ფაეტონი](#)

18. წაიკითხეთ ნაწყვეტი მიხეილ ქვლივიძის ლექსიდან „წვიმამ მოიკლა ჟინი ...“ და შეასრულეთ 18.1 – 18.4 დავალებები.

„წვიმამ მოიკლა ჟინი ღამით
და ახლა გრილა
და სველ სილაზე
მკვდარ თევზივით აგდია დილა.
ნისლია მთებზე
და ბურუსში სახლებიც გაქრა
და ზღვაში
თეთრი ხომალდივით
შეცურდა გაგრა...“

18.1. განმარტეთ პოეტური სახე „წვიმამ მოიკლა ჟინი ღამით“. რომელ მხატვრულ ხერხს იყენებს ავტორი მის შესაქმნელად?
(მაქსიმალური ქულა 2)

18.2. მიუთითეთ, რომელ მხატვრულ ხერხებს იყენებს პოეტი დილის პეიზაჟის დასახატად. პასუხი დაასაბუთეთ.
(მაქსიმალური ქულა 2)

18.3. „...და ზღვაში თეთრი ხომალდით შეცურდა გაგრა“ – ეს მხატვრული სახე შეიძლება, განვიხილოთ როგორც შედარების (I), ასევე, მეტაფორის (II) ნიმუშად. ამოიცანით ორივე მხატვრული ხერხი, მიუთითეთ თითოეულის ნიმუში პასუხების ფურცელზე შესაბამის ველში და პასუხი დაასაბუთეთ.
(მაქსიმალური ქულა 2)

18.4. ლექსში დინამიკურადაა გადმოცემული პოეტის შთაბეჭდილება. მიუთითეთ, რა საშუალებებით აღწევს ავტორი დინამიკურობის ეფექტს.
(მაქსიმალური ქულა 2)

[ლექსის ნაწყვეტთან დაბრუნება](#)

აკადემიური უნარები

წაკითხული ტექსტის გააზრება

ყურადღებით წაკითხეთ და გაიაზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.

ამა თუ იმ შეკითხვის გაცნობის შემდეგ მასზე პასუხის გასაცემად შესაძლებელია დაგჭირდეთ ტექსტთან დაბრუნება, შესაბამისი მონაკვეთის ხელახლა წაკითხვა და კვლავ შეკითხვაზე გადასვლა. ამას გაგიადვილებთ როგორც ტექსტის, ასევე, თითოეული შეკითხვის ბოლოს მოცემულ სათანადო აღნიშვნებზე „დაწკაპუნება“.

შესაძლებელია, თავის ტვინის კვლევის შედეგები პედაგოგიკისთვის სასარგებლო აღმოჩნდეს? „სწავლა და თავის ტვინი – გზა ახალი პედაგოგიკისკენ“ – ამგვარი ოპტიმისტური პათოსით უკანასკნელ წლებში უამრავი სამეცნიერო სტატია თუ წიგნი დაიწერა. თავის ტვინის ფუნქციისა და სტრუქტურის კვლევის შედეგების საფუძველზე სასწავლო მიდგომების შემუშავება განათლების მეცნიერებების ახალი მიმართულებაა, რომელიც დღითი დღე ვითარდება და სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. ნეიროპედაგოგიკა მდიდარ სამეცნიერო მასალას ემყარება ფსიქოლოგიიდან, პედაგოგიკიდან და ნეირომეცნიერებების სფეროდან და მიზნად ისახავს სწავლების მიდგომების შემუშავებას თავის ტვინის განვითარების კანონზომიერებათა გათვალისწინებით.

ნეირობიოლოგების მიერ ტვინის განვითარების დინამიკის შესწავლამ აჩვენა, რომ ემოციები კოგნიტურ განვითარებას ახლავს თან და ფუნდამენტურ როლს ასრულებს ადამიანის მოტივაციის, თვითშეფასების, გადაწყვეტილებების მიღებისა და სწავლის უნარების განვითარებაში. თუ შესასწავლი მასალა მოსწავლისთვის საინტერესოა, თავის ტვინში ჰორმონი დოფამინი (ე. წ. სიხარულის ჰორმონი) გამოიყოფა. ადამიანი ეჩვევა დოფამინის არსებობას და ცდილობს, შეინარჩუნოს ის გარკვეულ დონეზე. სტრესის, შიშის, მღელვარების ფონზე ფიქრის, ანალიზის პროცესი ფერხდება, რადგან ამიგდალა (ტვინის სტრუქტურა, რომელიც პასუხისმგებელია ემოციური რეაქციების ფორმირებაზე) ზემოაღნიშნულ საფრთხეებს ინფორმაციის დაბლოკვით პასუხობს.

შეკითხვებზე გადასვლა:

[19](#) [20](#) [21](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#)

ნეირომეცნიერებების სფეროში უახლეს მიღწევად მიიჩნევა ე. წ. სარკისებრი ნეირონების აღმოჩენა. როდესაც ჩვენ რაიმე მოქმედებას ვასრულებთ ან რაიმე ემოციას განვიცდით, აქტიურდებიან გარკვეული ნეირონები. ეს დიდი ხანია, ცნობილია. მაგრამ საოცარი ისაა, რომ არსებობს იმგვარ ნეირონთა ჯგუფი, რომლებიც აქტიურდებიან მაშინაც კი, როცა ადამიანი აკვირდება სხვის ქცევას ან განცდას (ან წარმოიდგენს იმავეს, ისე, თითქოს ეს ყველაფერი მის თავს ხდებოდეს). ეს ე. წ. სარკისებრი ნეირონები „ვერ ამჩნევენ“ განსხვავებას ჩვენსა და სხვებს შორის. ნეირომეცნიერები ვარაუდობენ, რომ სწორედ ეს ნეირონები მონაწილეობენ ემპათიის განვითარებაში, სხვა ადამიანის ქცევის გაგებასა და იმიტაციის მეშვეობით ახალი უნარების ჩამოყალიბებაში.

მოსწავლეთა ემოციური მოუმწიფებლობა დისციპლინის პრობლემებსა და კოგნიტური უნარების განვითარებაში დაბრკოლებებს იწვევს. ნეიროპედაგოგიკა გვიჩვენებს, მოსწავლეებს მივაწოდოთ ინფორმაცია ტვინის ფუნქციონირების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს საკუთარი თავის მართვის, თვითკონტროლისა და რეფლექსიის უნარების განვითარებას; ასევე, სწავლის სტრატეგიების გააზრებულად გამოყენებას.

დღეისთვის ნეიროპედაგოგიკის შესახებ სამეცნიერო წრეებში ცხარე დებატები იმართება. ამ მიმართულების მომხრეები ნეიროპედაგოგიკის მთავარ დამსახურებად მიიჩნევენ მის მიერ ნეირომეცნიერული ცოდნის გამოყენებას სწავლის, როგორც ქცევის, ასევე, ზოგადად, ქცევის ასახსნელად. სკეპტიკოსებს კი მიაჩნიათ, რომ ნეიროპედაგოგიკური „აღმოჩენები“ სხვა არაფერია, თუ არა ფსიქოლოგიაში წლების განმავლობაში დაგროვებული ცოდნა.

შეკითხვებზე გადასვლა: [19](#) [20](#) [21](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#)

19. რა ფუნქცია აქვს პირველი აზვადის მეორე წინადადებას ტექსტში?

- (ა) მასში წარმოდგენილია ტექსტის პირველ წინადადებაში მოცემული შეკითხვის ამომწურავი და დამაჯერებელი პასუხი.
- (ბ) გამოკვეთს ინტერესს განათლების მეცნიერებების იმ ახალი მიმართულების მიმართ, რომლის შესახებაც საუბარია მთელ ტექსტში.
- (გ) მიაწოდებს ნეირომეცნიერული ცოდნის პედაგოგიაში გამოყენების აუცილებლობასა და ამ მიმართულების მაღალ სამეცნიერო ღირებულებას.
- (დ) ადასტურებს ნეიროპედაგოგიკის მაღალ პრაქტიკულ ღირებულებას და განამტკიცებს მოსაზრებას მისი წარმატებით გამოყენების შესაძლებლობის შესახებ.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

20. ტექსტის მიხედვით, ემოციასა და სწავლის პროცესს შორის მიმართების შესახებ შეიძლება ითქვას, რომ:

- (ა) ემოციები ცალსახად დადებით გავლენას ახდენს სასწავლო პროცესზე, ზრდის მოტივაციას, ხელს უწყობს აზროვნების პროცესს.
- (ბ) სასწავლო პროცესის თანმხლები ემოციები თავის ტვინში ნეირობიოლოგიურ ცვლილებებს იწვევს, რაც არსებული ინტელექტუალური რესურსების გააქტიურებას განაპირობებს.
- (გ) სასწავლო პროცესის თანმხლები ნებისმიერი ემოციის გადამუშავებაზე თავის ტვინის ნაწილი – ამიგდალა – არის პასუხისმგებელი, რომელიც აფერხებს კოგნიტურ პროცესებს.
- (დ) პოზიტიური ემოციების გამოწვევის გზით სწავლისა და, ზოგადად, შემეცნებითი პროცესების გაუმჯობესება მიიღწევა.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

21. მესამე აზნაცში ვკითხულობთ: „სარკისებრი ნეირონები „ვერ ამჩნევენ“ განსხვავებას ჩვენსა და სხვებს შორის“. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია ამ წინადადების მართებული ინტერპრეტაცია?

- (ა) სარკისებრი ნეირონების გააქტიურება თავის ტვინის ფუნქციონირების ერთგვარი შეცდომაა, რაც ადამიანის მცდარი ქმედებების საფუძველს ქმნის.
- (ბ) სარკისებრი ნეირონების გააქტიურებისთვის აუცილებელი პირობაა, რომ ადამიანი იმავე ქცევას ახორციელებდეს, რასაც აკვირდება სხვა ადამიანის შემთხვევაში.
- (გ) სარკისებრი ნეირონების გააქტიურება სხვა ადამიანის ქცევისა თუ განცდის სიმულაციის საშუალებას იძლევა.
- (დ) სარკისებრი ნეირონები აქტიურდებიან მაშინაც კი, როცა ადამიანი სხვა ადამიანის მიმართ ემპათიას განიცდის.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

22. ქვემოთ მოცემულია მოსწავლის მიერ საკუთარი თავის მართვის უნარების გასავითარებელი სტრატეგიები. მათგან რომელს მოეპოვება დასაბუთება ტექსტში?

(ა) მივცეთ შენიშვნა არასასურველი ქცევის გამოვლენის შემთხვევაში.

(ბ) ვაჩვენოთ კონფლიქტურ სიტუაციაზე გონივრული რეაგირების მაგალითი.

(გ) ვესაუბროთ ამა თუ იმ სასურველი ქცევის მორალურ მხარეზე.

(დ) მასთან ერთად განვიხილოთ კონფლიქტურ სიტუაციაზე გონივრული რეაგირების გზები.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

23. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ წინადადებათა წყვილში არ არის წარმოდგენილი წინაპირობა (I) და შედეგი (II) სწორი თანმიმდევრობით?

- (ა) I. მოსწავლეს ეშინია მასწავლებლის;
II. მას უჭირს ფიქრი და ინფორმაციის ანალიზი.
- (ბ) I. შესასწავლი მასალა მოსწავლისთვის საინტერესოა;
II. მას სასიამოვნო ემოცია ეუფლება.
- (გ) I. მოსწავლემ იცის თავის ტვინის ფუნქციონირების თავისებურებები;
II. მას შეუძლია სწავლის სტრატეგიების გააზრებულად გამოყენება.
- (დ) I. მოსწავლეს არ აქვს კარგად განვითარებული საკუთარი თავის მართვის უნარი;
II. ის ემოციურად მოუმწიფებელია.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

24. რატომ არის ტექსტის ბოლო წინადადებაში სიტყვა აღმოჩენები ბრჭყალებში ჩასმული?

- (ა) მიგვანიშნებს ნეიროპედაგოგიკის მოწინააღმდეგეების სკეპტიკურ დამოკიდებულებაზე ამ ახალი მიმართულების მიმართ.
- (ბ) მიგვანიშნებს ნეიროპედაგოგიკური მიგნებების დაბალ სამეცნიერო და პრაქტიკულ ღირებულებაზე.
- (გ) ხაზგასმულია ტექსტის ავტორის სკეპტიკური დამოკიდებულება ნეიროპედაგოგიკური მიგნებების მიმართ.
- (დ) ხაზგასმულია ნეიროპედაგოგიკის მოწინააღმდეგეთა კრიტიკული დამოკიდებულების უსაფუძვლობა.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

25. პირველი აზრის დასაწყისში დასმულია შეკითხვა: „შესაძლებელია, თავის ტვინის კვლევის შედეგები პედაგოგიკისთვის სასარგებლო აღმოჩნდეს?“ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია მისი პასუხი?

- (ა) არ არის შესაძლებელი, რადგან ნეიროპედაგოგიკამ ვერ მოიპოვა სათანადო და დამაჯერებელი კვლევითი მტკიცებულებები სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებელი სტრატეგიების სასარგებლოდ.
- (ბ) შესაძლებელია, რადგან ნეიროპედაგოგიკა ნეირომეცნიერული კვლევის შედეგების გამოყენების გზით სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად შეიმუშავებს რეკომენდაციებს.
- (გ) შესაძლებელია, რადგან ნეიროპედაგოგიკა სრულიად განსხვავებულ მიდგომებს გვთავაზობს სასწავლო კონტექსტის და, ზოგადად, საგანმანათლებლო პროცესის გასაუმჯობესებლად.
- (დ) არ არის შესაძლებელი, რადგან ნეიროპედაგოგიკის მცდელობამ, ახლებურად გაიაზროს სასწავლო პროცესი, სამეცნიერო წრეების ყურადღება ვერ მიიპყრო.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

26. ანალიტიკური წერა

რამდენიმე დიალოგი სოციალური ქსელიდან:

- „ვინმემ ამომახსნევინეთ ეს ამოცანა, PLEASE !“ - გიო
- „მე უკვე ამოვხსენი, არც ისე რთულია.“ - ნინო
- „ყოჩაღ, ნინო, მართლა ბიჭივით ჭკუა გაქვს.“ - ეკა (მათემატიკის მასწავლებელი)

- „მასწავლებელმა დამაბარა, მეთქვა, რომ ნიკა ძალიან ზარმაცობს.“ – ნატოს მშობელი
- „ჩემი შვილი, მართალია, ზარმაცია, მაგრამ ძალიან ნიჭიერია!“ - ნიკას დედა
- ☺ - ნატოს მშობელი

- „ეს სპექტაკლი გიორგის ჯერ არ უნახავს.“ - ელენე
- „მიდი, პირველად შენ დაპატიჟე, მაგრად გაუხარდება.“ - ნიკა
- „ო, კაი რა... ბიჭთან ურთიერთობაში გოგო არ უნდა იყოს ინიციატორი!“ - ელენე
- ჰაჰა, რომელ საუკუნეში ხარ ? ☺)) - ნიკა

სტერეოტიპების შესახებ ბევრს ვერაფერს წავიკითხავთ სახელმძღვანელოებში, მათ შესახებ არაფერი ისწავლება სკოლებში, თუმცა, სტერეოტიპული წარმოდგენები ღრმად არის ჩამჯდარი ადამიანების ცნობიერებაში. ინფორმაცია, რომელსაც სტერეოტიპი გვაწვდის, ყურადსაღებიცაა. ესაა გარკვეული ტიპის სქემა, რომელიც შეიძლება დაგვეხმაროს ინფორმაციის დამუშავებაში.

სტერეოტიპი - [ბერძ. stereos მაგარი, მკვრივი და typos ანაბეჭდი] - ლათინის მთლიანი საბეჭდი ფორმა, რომელიც წარმოადგენს სტამბური ანაწყობის ან კლიშეს ზუსტ ასლს, რომელიც ერთხელ ჩამოყალიბების შემდეგ ძნელად იცვლება.

იმსჯელეთ:

- როგორ იკიდებს ფეხს ჩვენს აზროვნებაში სტერეოტიპები;
- რა უარყოფითი შედეგები შეიძლება განაპირობოს სტერეოტიპულმა, ტრაფარეტულმა აზროვნებამ;
- როგორ შეიძლება გავუმკლავდეთ საზოგადოებაში დამკვიდრებულ სტერეოტიპებს.

მსჯელობის გასამყარებლად მოიყვანეთ არგუმენტები და მაგალითები. თქვენ მიერ დაწერილი თხზულება უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, 100 სიტყვას.

(მაქსიმალური ქულა 11)